

საქართველოს კანონი

„მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, NN21-22, მუხ. 481) შეტანილ იქნეს ცვლილება და 15¹ მუხლის პირველი, მე-3, მე-4, მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებით მეცნიერების დაფინანსების უზრუნველსაყოფად საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირები – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი, ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები – სამეცნიერო ფონდები (შემდგომში – სამეცნიერო ფონდი).

3. სამეცნიერო ფონდის საქმიანობის წესი განისაზღვრება ფონდის წესდებით, რომელიც მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის და სამეცნიერო ფონდის დირექტორებს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

8. სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების წესს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სამეცნიერო ფონდის ერთი მესამედის დაკომპლექტების წესს შეიმუშავებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.